ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242613349**
გაცემის თარიღი: **18/09/2024**

ადრესატი: შპს ეს თი ეს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400234055
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, №60, სართული №1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 13 სექტემბრის № 0124257723 -16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 13 სექტემბრის № 0124257723 -16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა, N 14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.506) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 11 აგვისტოს N16-01222231642 წერილით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (დასრულებული ვარიანტი).

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/mqKaGLo9BoTjfJw

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

18/09/2024

MIA 1 24 02866440

შპს ''ეს თი ეს''-ს
ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა, N 14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.05.029.506) საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი მუდმივი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის (2024 წლის 18 სექტემბრის 16-01242613349) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით თანდართული სქემის შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge



საბზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ქვრჩის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ. 01.11.05.029.506)
საბზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს "ახალი თბილისი"

შეასრულა: მიშა ტატურაშვილი

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

ტელ: 577-66-40-43

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 2.1- 6ც
- 2.3- 8ც
- 4.1.2- 3ც
- 4.1.4- 4ც
- 4.1.5- 1ც
- 4.1.4- 2ც
- 5.19.1- 16ც
- 5.19.2- 16ც

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დაბგენილების ქვეთავი 406 -ის მიხედვით.

STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

შემოწმების აქტის დანართი (დანართი 01(ერთი) ფურცელი)

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა N14, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შესახებ

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: N6140629 IV კლასი

ობიექტის გადამოწმების შედეგად დადგინდა:

,,თ" ღერძის გარეთ,,1-2" მონაკვეთში შეცვლილია კარის მდებარეობა. შეცვლილია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების ვიზუალი. ,,ა" ღერძის გარეთ ,,3" ღერძზე გაუქმებულია ვიტრაჟის ღიობები.ფასად ,,ა-თ" და ,,თ-ა" ღერძებზე +39.50 ნიშნულზე მოწყობილია კაპიტალური კონსტრუქციები. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის მდებარეობა.

გეგმა -3.00 ნიშნულზე: ,,6-7" და ,,თ-ი" მონაკვეთებში შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა, რითიც გაზრდილია ფართი. ,,2-3" მონაკვეთში ,,ა" ღერძზე მოწყობილია ღიობი. ,,გ-დ" და ,,6-7" მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა. ,,5-6",,ბ-გ" მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა და შეცვლილია ფართი. გაუქმებულია ავზის ოთახი. ,,4" ღერძზე ,,ე-ზ" მონაკვეთების კვეთაში მოწყობილია მონოლითური კედელი მცირე ზომის ღიობით. ხაზობრივად გაჭრილია მონოლითური ფილა.

გეგმა +39.95 ნიშნულზე: გაერთიანებულია სავენტილაციო შახტები და მოწყობილია ლითონის სავენტილაციო კონსტრუქციები. ,,2" ღერძზე ,,ბ-გ" მონაკვეთში მოწყობილია ღიობები. ,,3-4" და ,,ე-ზ" მონაკვეთებს შორის მოწყობილია ღიობი და შეცვლილია კედლის გაბარიტები.

ფასადი ა-თ ღერძებში: ,,ე-ზ" მონაკვეთში +3.95 ნიშნულზე მოწყობილია ლითონის მოაჯირის კონსტრუქცია.

ტექნიკური ხარვეზი: ჭრილი 1-1-ზე შეცვლილია ღერძების ნომრები.

შეამოწმა:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: /ლ.გველესიანი/

დანართი ჩაიბარა: _____

_____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 002601

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: _____

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ობიექტის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ) 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

_____

_____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

_____

_____

შემოწმებით დადგინდა: _____

_____

_____

_____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ მყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/61659-24
„23" 09. 2024წ.

დადგენილება №002601
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

23.09.2024წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე, 2024 წლის 19 სექტემბრის №002601 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს. „ახალი თბილისი"-ს (საიდენტიფიკაციო №404501142; მის.: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის ქუჩა, №20, კომერციული ფართი №10 სართული,1, ბლოკი „ბ") მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის I-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა, №14, ს/კ №01.11.05.029.506-ზე, შ.პ.ს. „ახალი თბილისი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6140629 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: „თ" ღერძის გარეთ „1-2" მონაკვეთში შეცვლილია კარის მდებარეობა. შეცვლილია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების ვიზუალი. „ა" ღერძის გარეთ „3" ღერძზე გაუქმებულია ვიტრაჟის ღიობები. ფასად „ა-თ" და „თ-ა" ღერძებზე +39.50 ნიშნულზე მოწყობილია კაპიტალური კონსტრუქციები. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის მდებარეობა. გეგმა -3.00 ნიშნულზე: „6-7" და „თ-ი" მონაკვეთებში შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა, რითაც გაზრდილია ფართი. „2-3" მონაკვეთში „ა" ღერძზე მოწყობილია ღიობი. „გ-დ" და „6-7" მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა. „5-6" „ბ-გ" მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური კედლების მდებარეობა და შეცვლილია ფართი. გაუქმებულია ავზის ოთახი. „4" ღერძზე „ე-ზ" მონაკვეთებს შორის ცოკოლში მოწყობილია მონოლითური კედელი მცირე ზომის ღიობით. საზოგადოდ

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გაჭრილია მონოლითური ფილა. გეგმა +39.95 ნიშნულზე: გაერთიანებულია სავენტილაციო შახტები და მოწყობილია ლითონის სავენტილაციო კონსტრუქციები. „2" ღერძზე „ბ-გ" მონაკვეთში მოწყობილია ღიობები. „3-4" და „ე-ზ" მონაკვეთებს შორის მოწყობილია ღიობი და შეცვლილია კედლის გაბარიტები. ფასადი ა-თ ღერძებში: „ე-ზ" მონაკვეთში +3.95 ნიშნულზე მოწყობილია ლითონის მოაჯირის კონსტრუქცია. ტექნიკური ხარვეზი: ჭრილი 1-1-ზე შეცვლილია ღერძების ნომრები.

2024 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002601 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2024 წლის 11 სექტემბრის №10/01242552438-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. „ახალი თბილისი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა, №14, ს/კ №01.11.05.029.506-ზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6140629 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „ახალი თბილისი"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა, №14, ს/კ №01.11.05.029.506-ზე, პროექტის დარღვევით IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისთვის.

2. **შ.პ.ს. „ახალი თბილისი"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:



საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,

გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი . სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ახალი თბილისი"-ს დაეკვალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

ზურაბ მამსიკაშვილი

საგადასახადო დავალება N1
Payment Order N1
24.09.2024

რეფ.#/Ref# 394359070

გადამხდელის დასახელება: შპს ახალი თბილისი, 404501142
Sender's Name:

გადამხდელის ანგარიში: GE54BS0000000091436435
Sender's Account:

გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: სს ბაზისბანკი ბანკის კოდი/Bank Code: CBASGE22

თანხა/Amount

15 000.00

თანხა სიტყვიერად/Amount in Words
თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on person on behalf of whom the payment is made

დასახელება: შპს ახალი თბილისი, 404501142
Payer's Name:

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 404501142

მიმღების დასახელება:
Receiver's Name:
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263
Receiver's Account/Treasury Code:

მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: TRESGE22
Receiver's Bank/Treasury: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank

ბანკში შემოსვლის თარიღი
Date of receipt to the bank
24.09.2024

გატარებულია ბანკის მიერ
Date of accounting by the bank
24.09.2024

გადახდის დანიშნულება:
Details of Payment:
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა/Signature ----------



დამატებითი ინფორმაცია:
Additional Info:
დადგენილება 002601 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა
Stamp

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01221801235**
თარიღი: **29/06/2022**

ადრესატი: შპს ახალი თბილისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404501142
მისამართი: ქალაქ თბილისი, ქერჩის ქუჩა #6

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.11.05.029.506) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა (01.00.130) არ ფიქსირდება (გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა განთავსებულია ნაკვეთის საზღვრებს გარეთ). აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი”-ს გარე განათების სამსახური წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე (გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

№ GG22-0638221 D 13 05 2022

შპს „ახალი თბილისი“
მისამართი: ქერჩის ქუჩა #6
ტელეფონი: 595 18 01 05

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN22-0634294, დათარიღებული 03/05/2022წ.) ქერჩის ქუჩა #6-ში (ს/კ 01.11.05.029.506) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს: გლდანი-ნაძალადევის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი გიორგი ჯანიაშვილი. ტელ: 577 15 10 51.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)



სერვიტუტი
61.8 m²
K3=1,844.5 m²
28.9 m²
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
შეთანხმებულია
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11
სერვიტუტი
112.2 m²

№ 0622-0660466 D 05 07 2022

შპს „ახალი თბილისი"
მისამართი: ქერჩის ქ. N6
ტელეფონი: 599 74 32 12

ქალბატონო ქეთევან,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში „კომპანია") განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში" რეგისტრირებული IN22-0657468, დათარიღებული 27/06/2022წ.) ქერჩის ქ. N6-ში საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის" შესაბამის სამსახურთან. „კომპანია" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის" წარმომადგენელს: გლდანი-ნაძალადევის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი თორნიკე ჟღენტი. ტელ: 591 10 15 13.

შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გასატანად მობრძანდით მედია (მზია) ჯუღელის ქ. N10-ში (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს სათავო ოფისი), სამუშაო დღეებში 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)



გენგეგმა
0.00=466.00

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
გლდანი-ნაძალადევის ბიზნეს ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი ____
რეგ. № ____ "30" 06 2022წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

არ. №	ნახ. №	A-3

ქ.თბილისი, ქერჩის ქუჩა №6

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი

მიწის ნაკვეთის ფართობი -7292კვ.მ

K3=1,596.5 m2

დამკვეთი

"ახალი თბილისი"

პროექტის დასახელება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქერჩის ქუჩაზე

ნახაზის დასახელება

გენგეგმა

არ. ავტორი	ნ. კილასონია

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

Номер: 1213/094/21

Дата: 13/12/2021

შპს „ახალი თბილისი"

ბ-ნ გენადი ზარანდიას

10.12.2021 #1210/674/21 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.11.05.029.217) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)



1. საპროექტო შენობის ქუდიდან მიწისპირა მანძილი ანძამდე 12.26 მ
2. საპროექტო შენობის ქუდიდან მიწისპირა მანძილი ელ.ბაზამდე 5.50 მ
3. საპროექტო შენობის ქუდიდან მაქსიმალური მანძილი ელ.ბაზამდე 38.19 მ

ფორმატი - A3			მასშტაბი 1:500

№ 8163/24-8 "02" 06 2022

შპს „ახალი თბილისის“ დირექტორს
ბატონ გიორგი სარკისიანს
მის: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. N6
საქართველო, თბილისი 0167
საკონტაქტო ტელ: +995 322 10 30 00

ბატონო გიორგი,

თქვენგან შემოსული წერილის (8/11114 - 18/05/2022) პასუხად, გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული გენ-გეგმის ნახაზის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე (ს/კოდი: N01.11.05.029.506), გადის სს „სილქნეტის“ კუთვნილი მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც წარმოდგენილი გენ-გეგმის მიხედვით აღნიშნულ საპროექტო შენობასთან არ მოდის შემხებლობაში. მოცემული მიწისქვეშა კომუნიკაცია დატანილია თანდართულ CD-დისკზე SHAPE-ფაილის ფორმატით.

წარმოდგენილი გენ-გეგმის ნახაზის საფუძველზე, სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები, გენ-გეგმაზე საპროექტო შენობის ადგილის გათვალისწინებით და თანდართული დანართი N1-ის სრული დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებლად გამოძახებული იქნას სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი. ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

ქ. თბილისი შეთანხმება # 8/11114 დანართი #1

30/05 2021წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სს „სილქნეტის“ ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში გაკეთდეს საკონტროლო შურფები და ხაზოვანი ნაგებობის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა წერტილებიდან ორივე მხარეს 1-1 მეტრის პერიმეტრზე გათხრითი სამუშაოების წარმოება მოხდეს ხელით;
- სამუშაოების მსვლელობისას შენარჩუნებულ იქნას ხაზოვანი ნაგებობის სწორხაზოვნება;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდეს ხაზოვანი ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
- იმ შემთხვევაში, თუ ხაზოვანი ნაგებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სამშენებლო სამუშაოებისათვის ან/და სამშენებლო სამუშაოებისას არსებობს ამ კომუნიკაციების დაზიანების საშიშროება, მოხდეს შეთანხმება და მომზადდეს პროექტი არსებული წესით აღნიშნული კომუნიკაციების დროებით(შემდგომში პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით) ან მუდმივად გადატანის მიზნით;
- თუ სამუშაოების დაწყების მომენტში სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდება შეთანხმების გაცემის შემდგომ სს „სილქნეტის“ მიერ აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, შეჩერებულ იქნას სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოხდეს განმეორებით შეთანხმება არსებული წესით.
- იმ შემთხვევაში, თუ სს “სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

  ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

  ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის საშუალებით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს სს „სილქნეტი“-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოკასკაულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 30/05/2021


სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
თარიღი 30/05/2022
სერვიტუტი
61.8 m²
28.9 m²
K3=1,844.5 m²
სერვიტუტი
112.2 m²
გ ე ნ გ ე გ მ ა
0.00=466.00
4626900
484050
K3=1,596.5 m²
გენგეგმა